დასკვნა:**დ03.37220541**
თარიღი:**18/03/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 23 თებერვალს განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტი.

ცვლილების მიღების საფუძველს წარმოადგენს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება(ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან), რომლის თანახმადაც სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, გარდა ლატარიის მოწყობისთვის დადგენილისა, არის აუცილებელი გადასახდელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ხოლო ლატარიის მოწყობისათვის დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებით (მეორე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) განსაზღვრული იყო სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი ლატარიების მოწყობაზე ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%.

გამომდინარე აქედან, ნორმატიული აქტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებიდან ამოღებული იქნას ის სამართლებრივი ნორმა, რომლითაც განსაზღვრულია მოსაკრებელი ლატარიების მოწყობაზე.

დადგენილების მეორე მუხლი წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

დადგინდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები:

ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე- კვარტალში 20 000 ლარი;

ბ)თითოეულ სათამაშო აპარატზე- კვარტალში 2000 ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე- საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე-კვარტალში 250 000 ლარი;

ე) ამოღებულია

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე-კვარტალში 7000 ლარი;

ზ) თითოეული კლუბის მაგიდაზე- კვარტალში 6000ლარი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტის შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი